მაისი 2019

დრონი ახალი ამბები

ახალგაზრდული ორგანიზაცია „დრონის“ ახალი ამბების წერილი

ევროპის დღე

ამ გამოშვების ამბები

5 მაისს, რიყის პარკი გადაიქცა ევროპულ სოფლად - ეს ყველაფერი კი განხორციელდა ევროპის დღის აღსაღნიშნად. ამ დღემ მოგვცა საშუალება გვემოგზაურა ევროპაში საინფორმაციო და სახალისო აქტივობების საშუალებით.

ამ ღონისძიების ფარგლებში, წარმოდგენილმა ევროპულმა პროგრამებმა გვაჩვენეს თუ როგორ დაეხმარა ევროპა საქარათველოს განვითარებაში და ასევე რა სამომავლო პერსპექტივები აქვთ საქართველოს მოქალაქეებს ევროპაში..

ღონისძიება დატვირთული იყო უამრავი მუსიკალური წარმოდგენით, საოჯახო აქტივობებით და თეატრალური წარმოდგენებით, სადაც ნაჩვენები იყო როგორც ქართული ასევე ევროპული ზღაპრები. ასევე იყო საკვების ზონა, სადაც ასე ვთქვათ ევროპის“გემოს გასინჯვა“ იყო შესაძლებელი.

ევროპის დღე *2019* ჩატარდა ევროკავშირის დელეგაციისა და თბილისის მერიის ინიციატივით, ასევე ღონისძიებაში ჩართულნი იყვნენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საელჩოები და ევროკავშირის სხვადასხვა პარტნიორები.

გაიხანით ჩვენი მოხალისე!

PROJECT UPGRADE

დრონის წევრები საზღვარგარეთ

გაიცანით ჩვენი მოხალისე!

გამარჯობა, მე ვარ იოლანდა იტალიიდან აქ ვიმყოფები გრძელვადიანი მოხალისეობრივი პროექტით.

მე ვსწავლობ აზია-აფრიკის ენებსა და კულტურას, ასევე უნდა ვთქვა რომ ბოლო წლებში სწავლა მივატოვე რათა მემოგზაურა. ძალიან დაინტერესებული ვარ ენების შესწავლაში,ასევე ახალი კულტურის გაცნობაში და სწორედ ამიტომ შევარჩიე საქართველო.

მე მონაწიელობა მივიღე მოხალისეობრივ პროგრამაში პოლონეთში, მაგრამ მხოლოდ ორი თვით და ეს იყო გასაოცარი გამოცდილება, ვიმოდოვნებ საქართველოშიც გასაოცარი გამოცდილება დამიგროვდება და იმედს ვიტოვებ სამშობლოში უფრო მეტი ინფორმაციით, ცოდნითა და მეგობრებით დავბრუნდები.

THE PROJECT

UPGRADE

Increasing Capacity of Participatory Youth Work
5-12 მაისს თბილისში ტრენინგ კურსი ჩატარდა, რომელიც დაფინანსებული იყო Erasmus+ პროგრამის ფარგლებში.

ტრენინგის მთავარი მიზანი იყო ახალგაზრდული სამუშაოს განვითარების და სირთულეების შესახებ ახალგაზრდა მუშაკების ცნობიერების ამაღლება, მათი კომპეტენციების ზრდა და გრძელვადიან პერსპექტივაში პარტნირ ქვეყნებში არსებული ახალგაზრდული ცენტრების გაძლიერება და განვითარება.

ტრენინგში ჩართული იყო 29 მონაწილე საქართველოდან, უკრაინიდან, პოლონეთიდან, ესტონეთიდან და შვედეთიდან. ტრენინგის ფარგლებში მონაწილეები გაეცვნენ პარტნიორი ორგანიზაციების გამოცდილებას ახალგაზრდული სამუშაოში და აქტიური მონაწილეობის სფეროში, მონაწილეობა მიიღეს სასაწავლო ვიზიტში ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში და გაეცვნენ სხვადასხვა რეალობებს ახალგაზრდული მუშაობის სფეროში.

სოფო გოგსაძე

დრონის წევრები საზღვარგარეთ

ადგილმდებარეობა: ბოდრუმი, თურქეთი. თარიღები: *15* აპრილი - *31* მაისი

მოლოდინები ჩემი მოკლე ვადიანი მოხალისეობრივი პროექტიდან იყო ძალიან მაღალი, მაგრამ მიღებული გამოცდილება იმაზე დიდი აღმოჩნდა ვიდრე ველოდი.
ბოდრუმის ცეკვის კლუბი და ხელოვნების ცენტრი ორგანიზებას უწევს საერთაშორისო ცეკვების და თანამედროვე ცეკვების ფესტივალს ყოველწლიურად. მოცეკვავეები მთელი მსოფლიოდან იკრიბებიან ბოდრუმში რათა მონაწილეობა მიიღონ არაერთ კულტურულ აქტივობებში.

უდაოდ, მოხალისეორივი პროექტის ყველაზე საინტერესო ნაწილია პირველი ტრენინგი, რომელიც ამზადებს მოხალისეებს სამომავლოდ.
„Think Dance'' -პროექტის მოხალისეები მუშაობდნენ ამ ფესტივალის ორგანიზებაზე და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ფესტივალის მსვლელობაში. ფესტივალის ფარგლებში მონაწილეებს საშუალება მიეცათ, რომ განევითარებინათ თავიანთი კომპეტენციები წამყვან აქტივობებში, განევითარებინათ კრეატიული უნარ-ჩვევები და ასევე ლიდერული თვისებები.

ჩვენ ვიყენებდით სხვადასხვა ტექნიკებს რათა წარმოგვეჩინა ჩვენი შესრულებული სამუშაო (ვიდეო, სურათები, სტატიები და სიახლეები) და ასევე საინფორმაციო იარაღები, ვქმნიდით საინფორმაციო ბროშურებს, საინფორმაციო ბუკლეტებს, პრეზენტაციებს, ვამუშავებდით ფოტო და ვიდეო მასალებს,ვესწრებოდით თურქული ენის კურსებს და მოხალისეების მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებს.

ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი დღე იყო როცა მონაწილეობა მივიღეთ ქორეოგრაფიულ ღონისძიებაში სხვა მოხალისეებთან ერთად და ჩვენი ნომრით გამოვედით ფესტივალზე.

ასევე, ჩვენ ვეხამრებოდის ორგანიზატორებს ფესტივალის მონაწილეების ხელმძღვანელობაში, ვაცნობდით ჩვენს საკუთარ ქვეყანას და კულტურას არაფორმალური შეხვედრებისას.

დაახლოებით 17-მდე პროექტში მაქვს მონაწილეობა მიღებული ერასმუსის ფარგლებში, თუმცა უნდა ავღნიშნო რომ მოხალისეობრივი პროექტი იყო გასაოცარი, მიღებული გამოცდილებით, დაუვიწყარი მოგონებებით და ახალი მეგობრებით.

მადლობა „DRONI''-ს რომ მომცა შესაძლებლობა გავმხარიყავი ამ გუნდის წევრი და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ თქვენს სამომავლო პროექტების განხორციელებაში.

ანა დანელია

დრონის წევრები საზღვარგარეთ

გილოცავთ დაბადების დღეს!

რაც უფრო გემატება წლები , მით უფრო უკეთესი ხდები!

ელენე კაპანაძე

გივი ამაღლობელი

გიო ლეჟავა

გიორგი ფრუიძე

მარიამ ფერაძე